



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 338/3

04/12/2017

„საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 24 იანვრის №9/3 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „ჩ“ და „ჰ“ ქვეპუნქტების, 274-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 278-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 16 ნოემბრის №18351 წარდგინების საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 24 იანვრის №9/3 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების“ (დანართი №1):

ა) მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) აპარატის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა, მათი განხორციელებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება; აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების გეგმის შემუშავება და მისი შესრულების მონიტორინგი; პარლამენტში საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება;“;

ბ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) აპარატის სტრუქტურული ერთეულების უფროსებთან შეთანხმებით ამტკიცებს აპარატის თანამშრომლების სამუშაოთა აღწერილობებს;“;

გ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8

აპარატის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც ასრულებენ საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, სტრუქტურული ერთეულების დებულებებითა და სამუშაოთა აღწერილობებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს.“;

დ) მე-9 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი;“;

ე) მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19

ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) აპარატის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ბ) აპარატის ფუნქციების ანალიზი და აპარატის სტრუქტურის სრულყოფის წინადადებების შემუშავება;

გ) აპარატის სამუშაოთა ანალიზის ჩატარება და შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობების შედგენა;

დ) აპარატის თანამდებობათა ფუნქციების შეფასება და ამ თანამდებობათა დასახელებების დაზუსტება იერარქიულ რანგებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განაწილების მიზნით;

ე) აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობებზე ღია, დახურული და გამარტივებული კონკურსის ორგანიზება;

ვ) აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების უზრუნველყოფა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აპარატის თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან განთავისუფლების, შვებულების, მივლინების, წახალისების, მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ და სხვა ბრძანებათა, აგრეთვე ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადება;

თ) აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა პროფესიული და კარიერული განვითარების უზრუნველყოფა;

ი) აპარატის საქმიანობის ეფექტიანობის პერიოდული შეფასება სტრუქტურულ და ინდივიდუალურ დონეებზე;

კ) პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება (ელექტრონულად და მატერიალურად);

ლ) პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის კონსულტაციების გაწევა მათ სამართლებრივ მდგომარეობასთან, შეზღუდვებთან, უფლებებთან და მათ მიერ სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;

მ) პარლამენტში საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით;

ნ) აპარატის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტიანობის პერიოდული ანალიზი და მისი განვითარება ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით.“.

2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2017 წლის 7 დეკემბერს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

